თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N5

ქ. თელავი 2021 წლის 5 ივლისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: **დავით ღაღანიძე**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ბესიკ ქოჩიშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **დავით ბეგიაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **მიხეილ სამადაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **დავით ნუსხელიძე.**

დღის წესრიგი:

1. ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის'' ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: **1.** ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის'' ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **დავით ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს ქ. თელავის ურბანულ განვითარებას. სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარმოდგენილია შემდეგი პროექტები:

ა) საქალაქთაშორისო დანიშნულების ავტოსადგურის და პარკინგის მოწყობა თელავის, როგორც რეგიონის სატრანსპორტო ჰაბის განვითარებისთვის;

ბ) ქ. თელავში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელების და საგზაო უსაფრთხოების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ურბანული ტერიტორიების განვითარებისათვის;

გ) ქ.თელავში ისტორიულ ძეგლებსა და ტურისტულ საინფორმაციო დაფებზე QR კოდების განთავსება, ქალაქის კულტურული და საგანმანათლებლო როლის გაძლიერებისათვის;

დ) ქ. თელავში არსებული ისტორიული მნიშვნელობის წყაროების რეაბილიტაცია, ქალაქის კულტურულ-ისტორიული არეალის განვითარებისთვის;

ე),,ძველი თელავის'' ისტორიული დასახლების ურბანული განახლება;

ვ) სამეფო აბანოების და მისი მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეაბილიტაცია;

ზ) ერეკლე მეორის სკვერის და საზარბაზნე ბურჯის რეაბილიტაცია, ქ. თელავის მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული არეალის წარმოსაჩენად;

თ) მეფის სასახლის და ციხე-გალავნის კომპლექსის შიდა ტერიტორიის ურბანული განახლება, თემატური ინსტალაციების მოწყობით;

ი) ქ.თელავის შემოსასვლელებში ისტორიული სატახტო ქალაქისთვის დამახასიათებელი თემატური ინსტალაციების მოწყობა ქალაქის, როგორც ისტორიულ-კულტურული ცენტრის წარმოსაჩენად;

კ) ქ.თელავში ურბანულ ტერიტორიებზე საზოგადოებრივი დანიშნულების სველი წერტილების მოწყობა;

ლ) ურბანული ტერიტორიის ეფექტურად ათვისების მიზნით, ორი საბავშვო ბაღის ინტეგრირება და არსებულ ლოკაციაზე ახალი მიზიდულობის არეალის შექმნა;

მ) რეგიონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ქ. თელავში ქუჩების დამისამართება, სტანდარტიზაცია და საინფორმაციო დაფების მოწყობა;

ნ) საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური სპორტული მოედნისა და რეაკრეაციული სივრცეების მოწყობა;

ო) საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე რეგიონული ჩოგბურთის კორტების მოდერნიზება ოთხივე სეზონზე ფუნქციონირებისთვის;

პ) ქ.თელავში რეგიონული მნიშვნელობის მრავალფუნქციური სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა ინტეგრირებული აქტივობებისთვის;

ჟ) ქ. თელავში, პარკი ,,ნადიკვარის''ტერიტორიაზე დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა რეგიონული ფუნქციის გასაძლიერებლად;

რ) ქ.თელავში, ჩოხელის და ბახტრიონის ქუჩებს შორის არსებული ტერიტორიის ურბანული განახლება მრავალფუნქციური რეკრეაციული სივრცეების მოწყობით;

ს) ქ.თელავში ,,მინიატურების პარკის'' მოწყობა რეგიონული მნიშვნელობის კულტურული მიზიდულობის არეალის შესაქმნელად.

დავით ბეგიაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი არის რეგიონალური მნიშვნელობის და ხორციელდება ევროკავშირის დახმარებით.

მუნიციპალიტეტმა უნდა შეისყიდოს პროექტები, ზედამხედველობა გაუწიოს მათ განხორციელებას და თანადაფინანსებაში შევიდეს სამუშაოს ღირებულების 1%-ით.

ბესიკ ქოჩიშვილმა აღნიშნა, რომ საუკეთესო ვარიანტი იქნება თუ საქალაქთაშორისო დანიშნულების ავტოსადგურის მშენებლობას განხორციელებს არა მუნიციპალიტეტი, არამედ კერძო ინვესტორი. აგრეთვე საჭიროა მთელ რიგ ტერიტორიებს მიენიჭოს რეკრეაციული ზონის სტატუსი.

გადაწყვიტეს: ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის'' ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ განკარგულების პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე